საქართველოს მთავრობის

დადგენილება №164

2017 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/09/2015, 130030000.10.003.018893) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №4 დანართის (იმ უფლებამოსილი პირების ნუსხა, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების კომპეტენცია) 36-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„36. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში:

– განყოფილების უფროსები და ზემოთ;

– ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ქვედანაყოფების უფლებამოსილი თანამშრომლები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 30 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**